— პატიოსან სიტყვას გაძლევ ამ თვეში მე გალის გადახდა არ შემიძლიანო. — გაუშეორია ისევ გალდებულმა.

— პატიოსანი სიტყვა ხომ უშინაც მომეციო? — უსაყველურა მოვალემ.

— მოგეცი და ხომ ხედავ, პირნათლად შეგისრულეთ.

განწირული „

ქველ დროს ტფილისში ტრამების ვაგონები ცხენებით მოძრაობდნენ. ასეთ ტრანსპორტს „კონკას“ უძახოდნენ. ერთხელ სეთი „კონკით“ ერთი ტფილისში ახლად ჩამოსული სოფლელი მიდიოდა. ამ დროს ყოფ. მეფის ნაცვალი, ცნობილი მიხეილ ვარანცოვი უკვე დიდხნის გარდაცვლილი იყო. როცა „კონკამ“ ქუჩისკენ შეუხეია, დაეჭვებული სოფლელი კონდუქტორს შეეკითხა:

— სად მივდივართ?

— ვარანცოვთან! — უპასუხა კონდუქტორმა.

— კაცო რას მერჩით! რა დაპიშავებია, შვილის პატრონი ვარ: — ვარანცოვთან რა მინდა! — დაიძახა შეშინებულმა სოფლელმა.

დიდი ქაცი

მეფის რუსეთის დროს ქართველ მემამულეთა შორის ძალიან გახშირებული იყო სადილზედ წარა-მარად „რეჩების“ თქმა.

ერთხელ სოფლად, ერთი მემამულის ოჯახში ჩვეულებრივი ნადიმი იყო გამართული. ერთი ახალგაზრდა ორატორობდა და „რეჩის“, „რეჩიზე“ ამბობდა. ახალგაზრდას მამაც რომელიც მეტად დაბალი ტანის კაცი იყო, იქვე იჯდა. ყანწებს ცლიდა.

ეშხში შესულმა ახალგაზრდამ ერთი თავისი „რეჩი“ ასე დაიწყო:

— ვინ არის ქვეყანაზე ყველაზედ დიჭი და გამოჩენილი კაციო.

— „მაშა შენიო“, — უხუმრა ერთმა დარბასელმა კნეინამ.

არჩევანი

ერთმა წითელ წვერა კაცმა დაცინვით უთხრა თავის ქოსა მებალეს:

— „რატომ წვერი არა გაქვს...“


— „ლმერთი, რომ ხალხს წვერს ურიგებდა იმ დროს მოვედი, როცა წითელი წვერი-ლა დარჩენოდა, ამიტომ ისევ ის ვარჩიე, ქოსა ყყოფილიყავ, ვიღრე წითელი წვერი გამომერთვით“, უპასუხა შებალემ.

საქმიანი თავმჯდომარე

ხოდ. შუატხოში (დუშეთის რაიონი) შენობას, სალაც მოთავსებულია თემის ყველა დაწესებულება, წყალი შეუდგა და დაწერევით ეშუქრება.

თემა ხორნაულის.

ნახ. გ. ლომიძის.



— არიქა ვუშველოთ! ჩვენი საბჭოს შენობა იღუპება!

კულაკული ელემენტები: — საბჭოს თავმჯდომარე დგინოში სცურავს და დიდი ამბავია, რომ საბჭოს შენობაზ წყალში იცურავოს!



— გაიგე თაყა? ჩვენი „ფოსტალიონი“ ქალაქში წასულა და ჯამბაზობა დაუწყია!
— მერე რა, გიყვირს? ოთხი წელიწადი ჩვენს შარა გზაზედ დაღის, ისე, რომ ფეხი არ მოუცეხია და
ჯამბაზობა გაუჭირდება?

„შვილი ქანი სიღნაღელი“

სიღნაღში გახშირდა სამსახურის მიტოვება და სანა-
დიროდ სიარული.

აშაბ ჭინალ, სიღნაღელთა, მოუკიდა შვიდ ბიჭს მუზა,
შაქრის, დათოს, ნიკოს, ვანოს, კაპლოს, თაფლოს, მათეუზას,
ოქეს: ბევრია მთის ნადირი, ჩვენ კავშირი შევკრად ძმური
გადუხალოთ მონკავშირსა შესაფერი სამსახური.

გადასწყვიტეს, შეიმოსნენ: თოფით, ხანჯლით, პატრონტაშით
შემოირტყეს, გაეშურენ ხმაურობით, ცეკვა-ტაშით.
ლაგოდეხის მთას მიადგენ, შვიდი ბიჭი შვიდივ ლალი,
სალამომდე ასვლა სურდათ, რომ ენახათ იალალი.

იქ მოეკლათ ჯიხვი, ფიტი, ირემი თუ არჩვი შველი,
და, რომ ხორცი წამოელოთ წაიყვანეს ვირი მშველი,
თან მარილით ერთი ფუთათ სავსე ყუთი იმისათვის,
რომ ხორცი არ წახდენოდათ, შეენაბათ კვირისათვის.

რამდენ ნაბიჯს აიწევდენ, მთაში სჭექდა სალამური,
ტკბილი ღილინ-ჟამიერი და დავლური საამური,
გაიფანტა სულ ნადირი, არსად სჩანდა მათი ტანი,
რა ხმა ესმათ სიმღერისა, გადიარეს დალესტანი.

გზაზე ღამემ მოუსწროთ და აერიათ მათ გზა-კვალი,
ალრიალდენ, ვერ გაიგეს, აღარ სჭრიდა ლამით თვალი,
ზოგი კლდეზე გადაცურდა, იძახოდა „ვარ დედას“,
ნადირობის ბედს სწყევლიდენ, გულს ულავდათ ბოლმა, სევდა.

გამობრუნდენ, ვირს მარილით მოუბრუნეს უქან თავი,
არსად სჩანდა ჯიხვი, არჩევი ანუ მშველი, მოსაკლავი,
ჩამოეშვენ ლაგოდეხზე, გზაში ნახეს დილით ყვავი.
ხეზე იჯდა იმათ ბედზე, ის საბრალო, საცოდავი.

შვიდმა ბიჭმა შვიდჯერ სტყორცა, ყვავს დაადგა წუთი ავი
დაერივნენ ჭილყვავებსაც, დააყენეს სისხლის ლვარი,
დაჭრილ ყანჩას გზას წააწყდენ და ხმალ და ხმალ მოსჭრეს თავი.
კუებს ზურგი დაუხვრიტეს, სცადეს ტყვიის ძალა ხვავი.

ქალაქში რომ ჩამოეიდნენ მათ მოქონდათ დიდათ თავი,
ასე მოხდა სიღნაღელთა ნადირობის ეს აშბავი.



ცირკში ხშირად იმართება ჭიდაობა ქართული
მის შედეგებს თქვენ გიჩვენებთ ნახატი, — აქ დართული.

გადაჭარებული ზრდილობა

იგი ბორჯომის მატარებელს ჩამოყვა დილით.

ცაჟში საქმე ჰქონდა და სადგურიდან პირდაპირ სასახლისაკენ
გაეშურა.

— ჯერ ადრეა. — უთხრეს მას საქომენდანტოში და, როცა
გულზე ცაჟის წევრობის ნიშანი შენიშვნეს, დაუმატეს: — თქვენ
პირდაპირ შეგიძლიათ შებრძანდეთ, მიღება ერთი საათის შემდეგ
დაიწყება..

გამობრუნებისას სარკეში ჩაიხედა. ახედ-დახედა თავისთავს.
ულვაშებზე ხელი გადაისვა. გულზე ცაჟის წევრობის ნიშანი გაი-


სწორა, ნიშანი, რომელიც მას ამშვენებდა, მცგრამ რომელსაც არ
შვენოდა გამტვერიანებული ჩექმები და გაუპარსავი წვერი. ეს დე-
ფექტები იერს უკარგავდა მის აბრეშუმის ხალათს, შალის შარევალსა
და ახალ ქუდს.

— რაკი ადრეა, მით უკეთესი, წესრიგში მოვიყვან თავისთავს,
კოხტად წარვდგები მთავრობის წინაშე, სირცხვილს არ ვაჭმევ ჩვენს
სოფელს! — გაიფიქრა მან და პროსპექტზე გამოვიდა.

ამინიკოლ კარიბათურის დ. ლოუ ნახატები

მოქალაქი თაგაზოგანი

1933 წლის
გივი გარების




კატა — თაგვის (მოძრავი თამაშობის ახალი ვარიანტი).

კალილების საერთაშორისო კონფერენციაზე



საერთაშორისო გუბიურაზე: — რატომ არ გესმის მოხუცო, — დედამიწას ჩვევან ფასების მეტი ვერ ფერი დატორის.

„დაკატილი“ კარიბი



— როდის გაიღება ბანკი?
— როგორც კი კარებს მოგნახავთ, მაშინვე გაფალეთ.

ჩაუარა „წითელი ჯვრის“ საპარიკმახეროს („ჰიგიენის სახლი“). შეიხედა საუცხოვოდ მორთულ დარბაზში, მაგრამ შიგ შესვლა ვერ გაძლია, ალბათ ბევრი „ურემონები“ იქნება საჭირო. იმავე შენობის ბოლოში ფეხსაცმელების საწმენდ კაბინეტს მიადგა. აქ კი ბევრი არ უყოფანია. მევიდა შიგ და ფეხსაცმელები გაიწმინდა. ჩექების გაწმენდით შეიდევ წვერის გაპარსვის საკითხი უფრო მწვავედ დადგა. ისევ ჩამოუარა საპარიკმახეროს, რომელ შიაც მუშა მოსამსახურენი თამამად შედიოდენ და გამოდიოდენ.

გამინენდა და შევიდა.

— მობრძანდით! — შესვლისთანავე თავაზიანად შეეგება ორ ტარი და სავარძელებელი უჩვენა.

— რას ინებებთ? — იყო ოსტატის პირველი შეკითხვა.

— წვერის გაპარსვა მინდა.

— თავიც გაგრიჭოთ ხომ?

თავის გაკრეჭა არ იყო მაინცდამაინც აუცილებელი, რადგან ახალ გაკრეჭილი ჰქონდა, თანაც დროს წაიღებდა, მაგრამ ისტატის ცეკითხვაში მოჩანდა თმის გაკრეჭის აცილებლობა.

— ჰო კი!

თავის გაკრეჭისა და წვერის პარსვის დროს თავის იქრთაქეთ მოპრუნებისას მან წაიკითხა სარქის ორივე მხარეს გაპორული სხვა დასხვა განცხადები კლიენტთა საყურადღებოდ.

— მასაუი გნებავთ? — მეეკითხა ოსტატი წვერის მოპარსვის შემდეგ.

მასაუი მას აბანოში გაეკონა. ხუმრობად მიიღო, უარის ნიშნად თავი გაუტია და ნახევარი სიძირ უთხრა:

— არა. სახეზე იონილინი წაგისვათ? გაკურდა-ქალი ხომარ ვგონივარ, და ვალიმებით უთხრა: — არა.

— თავის დაბახასაც ინებებთ ხომ?

— ამდენი უარი უზრდელობა იქნება. ესეც არ იყოს, რაკი თავის დაბახა საჭიროდ ცნო, ჩანს თავში თამე ხახა. თანაც ის აგურ სწერია: „შემჩნეული დეფექტების შესახებ ქთხოვთ ხუ შეედავებით ოსტატებს“. მასასადამე, არავითარი „შედავება. ისტატებია ჩემს უკეთ იყინ. თავს დაბახა სჭიროა. რა უკონ მერე, ხომ წამოსვლის ჭინ დღით დავიძახე. ალბათ თმაში რამე ნახა, საჭიროა თავის დაბანა. ძორჩა და გათავდა! — ყველაფერი ეს ისე უცბად გაიფიქო რომ თანხმობის გაძოცხადება ისტატისათვის არ დაუგვიახებია:

— ძალის კარგს იწამო, თუ არ დაიზარებთ.

ისტატი საგულდაგულოდ შეუდგა თავის ბანას. მისი ბრალი არ იყო (ამანაგი გამოელაპარაკა), რომ ცხელი წყალი მეტი მოუშვა, მაგრამ როცა კლიენტია თავზე ხელები დაიფარა დათუთქვისიგან: გადარჩენის მიზნით, ცხელი წყალი დაშინებე დაკეტა და შადრევა-სივით მოუშვა თავზე ცივი წყალი. დათუთქულ თავს ეამა ცივი წყალი, მაგრამ საპნის წასმის შემდეგ საშინლად აეწვა.

— რას მერჩოდა ეს კაცი?.. რა დაბიშვებია მისთვის? ას ია ჩემხე? — ფიქრობდა იგი ტაშტზი თავზაუდებული.

— მორჩა თავის ბანა.

— კომპრესი ხომ არ გნებავთ?

— ალბათ მეტმრება, — გაიფიქრა მან და ხუმრობით უთხრა:

— კომპრესი კი არა, მგონი, ბანქებიც დამჭირდება!

ისტატმა სახე ცხელი ტილოთი აუკრა. ჯერ მას ეს იუცხოვა მაგრამ მალე მიხედა, თუ რას ნიშნავდა ისტატის ნათევამი „ქომ-პრესი“.

— რდეკალონი თუ...

— აწი უარს არაუერზე ვეტყვი, ეგებ მალე მოვრჩე ამ ხათას.

— გაიფიქრა მან და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

თმი დაგისველოო?

— თავი ანლა დაბანა, თმა სველი მაქეს. ალბათ მეტმრება!

გაიფიქრა მან და ისტატს ლიბილით შეხედა. ისტატმა ეს ლიმილი თანხმობის ნიშნად მიიღო და სურნელოვანი წყლით თმა დაუსველა.

— თმის დახუჭუჭებას და წარბების შესწორებას ხომ არ ინებებთ?

— ქალი ხომ არ ვარ თმა დავიხუჭუჭო! სოფლის აღმასკომის თავჯდომარე ვარ. შემოჩენილა. გაიფიქრა მან და ცივად უთხრა. — ქმარა!

* *

გამოდიოდა იგი „ჰიგიენის სახლიდან“ და ფიქრობდა:

— ყველაფერი ეს კარგია, მშენებია, მაგრამ, გადაჭარბებული ზრდილობა უკვე უზრდელობაში გადადის!

ისე სდიოდა მას ოდეკალონისა და ვეუიტალის სუნი, რომ უხერხულობას გრძნობდა ცაჟში გამოცხადებულიყო.

„რედაქტორის“ ტრაგედია

— არ შემიძლია, აკრძალული მაქს ავანსების გაცემა.

— თუ ძმახარ, როგორმე მომიხერხე — და პატივისცემა ჩემზედ იყოს.

— კაცო, რავა გამიჭირე საქმე. გითხარი არ შეიძლება, მორჩა და გათავდა!

— აი, გაგითავდა ეგ ქეციანი თავი. — ჩაილაპარაკა თავისთვის კორექტორმა პოხროძემ და ბულალტერიდან გაბრაზებული გამო ვიდა.

დღეს მესამედ მიმართა ბულალტერს ავანსზე, მაგრამ ვერა-ფურს გახდა.

ფული კი ძალიან სჭირდებოდა. ექვსი თვის ბინას ქირა არ ქონდა გადახდილი.

სახლის მართველს დღეს — ხვალობით კვებავდა, მაგრამ დაპირებულს არ ასრულებდა.

ჯამაგირის მიღებისთანვე „წვრილმანი“ ხარჯები ავიწყდებოდა და მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა, როდესაც ჯიბეში უკანასკნელ ჩანებიანს დაინახავდა.

წინადლით სახლის მმართველი გამოსახლებით დაემუქრა:

პახროძემ უკანასკნელად შეავლო უქმაყოფილო თვალები ბულალტერიის ოთახს და შინისაკენ წამოვიდა. მიღიოდა და ფიქრობდა თუ როგორ და რა გზით ეშვენა ფული. ამ ფიქრში გართულმა ვერ შეამჩნია, როგორ შევიდა თავის ეზოში.

პოხროძემ ბინის აივანს შეხედა. იქიდან ოთხი თვალი ყურადღებით მოჩერებოდა.

დავიღუპკე, ალბათ ჩემი გამოსახლება თუ უნდათ! — გაიფიქრა შეშინებულმა და წელმოწყვეტილი კიბეშე ავიდა. უცნობი პირებიც შემოეებენ. წინ მოღიოდა პორთველიანი ახალგაზრდა, უკან მისდევდა — ჩასუქებული შუახნის კაცი.

— თქვენ ბრძანდებით პოხროძემი — იქითხა პირველმა.

— დიახ, — გაუბედავათ მიუგო პოხროძემ და რატომლაც თავის ოთახის კარები შეათვალიერა.

— ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე გიახელით და გთხოვთ მოგვი-შინოთ.

— სიამოვნებით! — და გაქვირევებულმა პოხროძემ უცნობი პირები ოთახში შეიპატიჟა.

პირველი სტუმართაგანი წინ წამოდგა და წარმოსთქვა:

— გთხოვთ გვიცნობდეთ.... მან დაასახელა თავისი და ამხა-ნავის ვინაობა.

— დიახ, ჩენ გახლავართ არტელ „ქაფ-ტის“ სალიტერატურო წრის ხელმძღვანელნი... და პორთველიდან ნაწერი ქაღალდების ვეება შეკვრა ამოილო.

— აი, ეს გახლავთ ჩენი მომავალი წერ-ლების შემოქმედების ნაყოფი; ჩენ გადავწყვი-ტეთ აღნიშნული მასალების გამოცემა მხა-ტვრული კრებულის სახით... გამოცემის პრინ-ციპიალური ნებართვა უკვე მიღებული გვაქვს სათანადო ორგანოდან.... და მოსაუბრებ ეფექტის. მოსახლენად ბეჭედ დაკრული ქაღალდი გაუწოდა.

გაშტრებულმა პოხროძემ ქაღალდი ჩა-მოართვა და ვერ გვეგო რა უნდოდათ, ან რას მოითხოვდენ მისგან ეს პატიოსანი მოქა-ლაქენი.

— სჩანს ოთახის თაობაზე არ მოსუ-ლან. — გაიფიქრა დამშვიდებულმა.

პირველი ქვლავ ამეტყველდა:

— ახლა მხოლოდ თქვენ უნდა გთხო-ვთ, რომ ოქვენი რედაქციით დაგვეხმაროთ კრებულის გამოცემაში.... ჩენმა სამნეო ნაწი-ლის გამგემ — კვერნაძემ დაბეჯითებით გვირჩია თქვენთან მოსვლა და აი, ჩენც გიახელით.

პოხროძე მიხვდა, რომ ბედი კარზე მოდგომოდა.

— თუ არ ვცდები, მგონი კრებულის რედაქტორობას მთხოვთ, არა?

— დიახ, დიახ. — მიუგეს ერთხმაც.

პოხროძეს ძალიან ესიამოვნა; თავზედ რამდენჯერმე სიხარული-საგან ათრთოლებული ხელი გადისვა, მერე ნაწერებს მიუბრუნდა და კითხვა დაუწყო....

წაკითხულმა კარგი შთაბეჭდილება ვერ დაუტოვა. ახალგაზრ-და მწერლების ვინაობა იკითხა.

აღმოჩნდა რომ ამ „ახალგაზრდა მწერლების“ შემაღენლობაში შედიოდენ: არტელის სამნეო ნაწილის გამგე — 65 წლის ქაბუკი კვერ-ნაძე, ერთი ვიღაც გაპოეტებული დედაბერი, ოთხმოცუ წლის პენსი-ონური ზაქო მაჩიტაძე და ის ახალგაზრდა, რომელიც პოხროძეს ესტუმრა.

სტუმრებმა პოხროძეს მაგიდაზე ავანსის სახით სამასი მანეთი დაუწევს და სამას ბანეთსაც კიდევ შეპირდენ.

ფულის დანახვამ პოხროძეს თვალება გაუბრწყინდა და... დათანხმდა რედაქტორობაზე.

პოხროძემ ერთი თვას წვალებისა და დიდის ვა — ვაკლახის შემდეგ კრებულს სინათლე დაანახა. ამ შეკითხევამ „ახალგაზრდა“ მწერლები ძალზე გაახარა; რედაქტორს ლიტერატურულ ფრონტზე „გამარჯვება“ მიულოცეს და შეპირებული სამასი მანეთიც დაუთვა-ლეს.

მსუქანმა ფულთან ერთად დავალებაც მისცა:

— თუ ძმახა მაღლი ქენი და მარილიც მოაყარე. — საჭირო ჩენ კრებულზე ერთი კარგი რეცენზიის დაწერა და ცენტრალური პრესის ახმაურება.... რეცენზია თქვენი, — ფული ჩვენი. — მოკლედ მოუჭრა მან.

პოხროძემ წინადადება თავშეუკეთლად მიიღო — ჩენ კიდევ გნახავთ! — უთხრეს წრის შესვეურებმა და წავიდენ.

მეორე დღეს პოხროძე რეცენზიის ძებნას შეუდგა.

მოაგონდა თავის ძევლი მეგობარი კრიტიკოსი რამფაძე და უმაღლეს მისკენ გაეშურა. როდესაც რამფაძემ მეგობრის მოსვლის მი-ზეზი გაიგო, ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, ბოლოს კრებული გამოა-რთვა და გადაათვალიერა; გარეგნული გაფორმება მოეწონა.

— კრებული საცუცოვოდ არის გაფორმებული და რეცენზიაც კარგი უნდა დაიწეროს, მაგრამ... აქ კრიტიკოსი შეჩერდა, სახეზე

„სულ პილი... პილი“.

ნახ. გ. ლომიძის

„ყვარელის კლუბის გამგეს მთელი წლის განმავლობაში წარმოდგენა არ გაუმართავს და ჩაკლა საკლუბო მუშაობა“. ქბილინა



— ამ ჩენს გიორგის რომ ყოველთვის სძინავს, ნერა როდისლა ხარჯავს მუქთად მიღებულ ხელფასს!

მრთი მრავალთაგანი



სახლთა „ტრესტის სახლი გახლავთ, ანაგები შეველთა შეველი“ ინგრევა და ტრესტისაგან უნაყოფოდ ეველას ხლის, შიგ შესული კვლავ ცოცხალი ვერ გამოვა გარედ კიდევ გი სახლო, უსაქმური „სახლთა ტრესტის“ გადამკიდევა.

სერიოზული გამომეტყველება მიიღო და პოხროძეს საქმიანი კილოთი მიმართა:

— ხომ იცი რა დიდი ენერგიის და დროს დახარჯვა დაშვირდება კრებულის წაკითხაზე და ჩეცენზის შედგენაზე.... და იმისათვის, რომ მაღალი ტემპები ავილო და ნაყოფიერი შედეგიც მივიღო — საჭირო წახალისება.

— წახალისება!

— ჰო, წახალისება! რად გაგიკვირდა, ხამი ხომ არა ხარ! პოხროძე მიხედა:

— რამდენი გინდა?

— ბევრს არ მოგთხოვ, სულ ას ორმოცდა ათ მანეთს დაგჯერდები; დღეს ასი მანეთი დამიტოვე, დანარჩენი შემდეგ იყოს.

— თუ მას ხარ დღეს ორმოცდა ათი მანეთი იქმარე, მეტი არ მაქვს. — დაელრიჯა პოხროძე.

— კაცო, ჩემთან საგაჭროთ ხომ არ მოსულხარ?.... ისედაც დიდი მსხვერპლი გავილე — სულ მცირეს გოხოვ და ამაზედაც მეგაჭრები?..

— რა იყოს. — წაუმატა პოხროძე.

— კაპიქს ვერ დავაკლებ! — დააჭირა ფეხი რამდენებმ.

უსინდისო კაცია. — გაიფიქრა პოხროძემ, ოხვრით ათი თუმანი ჩაუგვალა და ორ დღეში რეცენზის მოტანა თხოვა.

რამდენებმ პოხროძესთან დაპირებულ ვადაზე აღრე მივიდა, შორიდან დიდის ამბით მიესალმა და ჯიბეზე მიუთითა, სადაც კრებული და რაღაც ხელთ ნაწერი ქალალდები მოეთავსება:

— აი, ხომ ხედავ, უკვე დაწყებული მაქვს; გუშინ მოელი დღე და ლაშე ვიმუშავე, ამაღამაც უნდა გავათენო, მაგრამ თუ კვლავ არ

წავხალისდი, ისე რაღაც დალლილობასა ვგრძნობ და მუზა არ მომდის შეიძლება რეცენზია დროზე ვერ ჩაგაბარო, თუ დანარჩენი ორ მოცდა ათი მანეთი დღეს ველები გაასავსავა და უკურის ტემა:

პოხროძემ უკამყოფილოდ ხელები გაასავსავა და უკურის ტემა:

— თუ ეხლავე ფული არ მომეცი ეს იმას ნიშნავ, რომაშ სკე მეს სერიოზულად არ ეყიდები და რეცენზია არ გეჩეარება. და თუ ეს ასეა მე კვლავ თავს არ შევიწუხებ!

— „ჩამიჭირა ხელში ამ ავაზაქმა“. — გაიფიქრა პოხროძემ და ხუთი თუმანი ჩაუთვალა.....

მეორე დღეს დილით კრიტიკოსმა რამდენებმ პოხროძეს ბინის კარები მოუტიდებლად შეაღო.

— როგორაა საქმე? იკითხა პოხროძემ.

— ცუდათ: კრებულში შეცდომები დაგიშვია, — ჩავარდნება გაქვს. მოუჭრა რამდენებმ.

— ჩავარდნები?

— ღიას, ჩავარდნები. პოხროძეს, თითქო მეხი დაეცაო, მუხლებში ძალა წარომეული სკამზე ჩაიკეცა.

„დავილუპე“. გაიფიქრა და განაღურებულმა რამდენებს ყრუო მიმართა:

— აბა, ერთი, ვეთაყვა, მიჩვენე რა ჩავარდნები მაქვს... და-სწყველოს ეშმაქმა, თითქოს დაკვირვებით დავამუშავე ეს რა მომ-სვლია....

რამდენებ წამოწითლდა:

— აქ არ წამომილია, შემთხვევით ხელცარიელი წამოვედი. — უპასუხა მან და თვალებით ქუდს ძებნა დაუწყო.

— ღიაცა, მეორე ეკზემპლარი მაქვს და იქ მიჩვენე რა ჩავარ-დნები მაქვს. — ღია პოხროძემ წამოიწია, მაგრამ რამდენებმ შეაჩერა.

— არა! გაგხუმრე!... კრებული ჯერ არც წამიკითხავს, ვერც რეცენზიას დავწერ...

პოხროძე აღარ უსმენდა:

— ავაზაქო! — დაიღრიალა შევლებ მოთმინებიდან გამოსულმა, — თუ არ დაწერდი, რისთვის შემპირდა!.... რად ჩამაგდე სირცვილში... რა პასუხი გავრცე ავტორებას?

რამდენებ წამოდგა:

— ის პასუხი გაეცი, რომელშეცემით ჩეცენზიებს არ წერენ-თქვა.... რაც შეეხება შენს ასორმოცდა ათ მანეთს, ჩქარა დაგიბრუნება... საერთოდ არც ლის ასეთი პატარა რამეზე მეგობაზთა შორის უსიამოებნმა და სცენების გამართვა.... — თქა ეს და ყოველშემ იხვე-ვისათვის მაგიდას ორი ნაბიჯით მოშორდა.

— ეშმაქებმა წაიღოს შენისთანა მეგობარი, კიდევ რაღაც უნ-დოდა ეთქვა გაწმილებულ პოხ ბოძეს, მაგრამ ამ დროს კარები გაი-ღო და მისენ — ლიმილით გამოემართენ ჩეცენვის უკვე ცნობილი „ახალგაზრდა მშერალთა წრის“ მსვეულები, — ალბათ ჩეცენზის მისალებად და „პრესის ასახმაურებლად“.

რამდენებმ ამ მომენტით ისარგებლა და ოთახიდან გაძრა.

ზ. ჯ—ძე

ხელს უშლი 016




— მოდი ერთი „მშვიდობიანა“ ვითამაშოთ!..

გვირჩევა: ბრძოლა...

(„გეგ. ანფრ.“)

„შეუფერებელი“

ნახ. ვ. კოსტოვის მწერლები
გიგანტები



— ეინ დასწერს ბრძანებას, სერგოს მდიგნობიდან მოხსნის შესახებ?
გიშარებული: — ცხადია თვითონ სერგო. მაგისთანა კარგად მოელს აპარატში
გერავინ სწერს.

პეტაკიუმელი

(ფანტასტიური სინამდვილე)

ექვსი წელიწადია რაც პეტრე აბდუშელი
ტფილისში არ ყოფილა.

ექვსი წელიწადია რაც მას „პეტაფორაჩიქს“
აღარ უძახიან და თითქოს ხელისუფლებისა-
თვის თვალის ახვევის მიზნით ვაჭრობას თვი
მიანება და „პატიოსან კერძო მეურნე აბას“
მოკიდა ხელი.

ექვსი წელიწადია არ ყოფილა ტფილისში
და ახლა ნათესავების სანახავად მოგის ბორ-
ჯომის მატარებლით. მოდის და ათას გვარ
ფიქრებშია გართული:

— ეჭ, ვენაცალე ამ ქალალდის მამკონსა, გა-
ზეთში რომ არ წამეკითხა, რა მეცოდინებოდა,
რომ ქალაქში გლეხთა სახლია და სამ ნომერ-
ზე რომ ტანციაში დავჯდები, მეექვეთ გაჩერ-
დება და პირდაპირ შიგ შეგიყვნს გლეხთა
სახლში...

და ამ ფიქრებში, ტფილისის სადგურს
მოადგა მატარებელი.

ვაგონები გათვალისუფლდა მგზავრებისაგან.
ხურჯინ მოკიდებული, ფიქრებში გართული
პეტრეც ხალხში გაერია.

რამდინი კარები ჰქონდა ტფილისის სად-
გურს ამ ექვსი წლის წინად! თავისუფლად
გადაღიოდენ ქალაქში ჩამოსულები, ახლა კი
დელარ სცნობს პეტრე ტფილისის სადგურს,
სულ მოთლად გამოცვლილა, გაკეთებულა, გამ-
ზენიერებულა, მაგრამ აღარცერთ კრებში
არ გაუშეს პეტრე.

მივიდა ერთ გასასვლელთან, მეორესთან,
მესამესთან, — ყოველგან უარი უთხრეს.
ჩამოსული მგზავრები უკვე სადღაც გაპ-
ერენ: ცამ ჩაყლცა თუ დედამიწამ, ვერაფერი
გაუგო პეტრემ.

მას ვერ წარმოედგინა, რომ იქვე საღუ-
რის შენობის ქვეშ გვირაბი იყო გავანილი,
საიდანც მგზავრები გადიოდენ.

და დალონდა აბდუშელი, კაცი დაბერდა და
არასოდეს არ შემთხვევია ასეთი რამ.

გაბრაზდა პეტრე, სისხლი მოაწვა ყულში,
მაგრამ რას იზამდა. კვლავ აქეთ-იქით ტორ-
ლიალი განაგრძო.

— მოქალაქე რას დადოხარ აქ? აბა, წაბრ-
ძანდით, თორემ გადაიხდით სამ მანეთს! — დაე-
ტაკა პეტრეს ვილაცა.

— შენლა მაკლდი ახლა, რას მერჩი, ჩემი
ძმაო.

— ნუ მაცდენ მოქალაქევ, ან გადაიხადე,
ან არა და დაგაპატიმრებ.

— გზა დავკარგე ჩემი ძმო, რას მერჩი.

— მაშ წამოდი ჩემთან, გზას მე გასწავლ!
„წესრიგის“ დამცველმა პეტრე სადგურის
ქვედა დარბაზში ჩაიყვანა. და თვითონ მო-
შორდა მ.ს.

პეტრე, დარწმუნდა იმაში, რომ იგი ნამ-
დვილად ციხეში იყო, გაბრაზდით დაიწყო
ყვირილი:

— ხალხი არა ხართ ხალხნი? რას მერჩი-
დენ ეს ჩემ. ნალები, რისთვის დ. მიჭირეს,
ცოლშეილს გეფიცებით არაფერი წამიხდენია!

ხალხმა გავირვებით დაუწყო ცქერა. ხმა
არავინ გასცა. უფრო გაბრაზდა პეტრე

გაფრთხელება

ნახ. გ. ისაევის

010363-202
202 წლის მიერთება



— ფეხს არ გავადგამთ! შარზან რომ ლამის შიზშილით მოგვალი, წელსაც იხე
გვიპირებ!

აბდუშელი, უფრო მაგრა შეჰყვირა, მაგრამ რაკი ხმა არავინ გასცა, გზა განაგრძო.

— რამდენი პური ყოფნის ამდენ ხალხსა, ნეტავი თუ ესენიც ჩემსავით უმიზეზოთ დაი ჭირეს. საწყალ იმ ბებერ ქალს რაღას ერჩოდენ, ძლიერსა დადის უბედური. ნეტა რამდენი წელიწადი მისცეს!

ფიქრობდა პეტრე და ამ ლროს ერთ მომავალ ხურჯინიან გლეხს შეეხება.

— რამდენი მოგცეს ამხანაკო? — შეეკითხა ეტრე.

— ოხი, მე მიტი არ მინდოდა, რამდენიც გინდა იმდენს მოგცემენ! — მიუგო უცნობმა გლეხმა პეტრეს, ახლადადებული ოთხი ბილეთი მაგრად მობლუჯა ხელში, ხურჯინი გაისწორა და გზას გაუდგა.

— ალბათ დიდი ხანია აქა ზის, ჭუაზე შეშლილა საწყალი! — გაიფიქრა პეტრემ და კვლავ გზა განაგრძო.

დასეირნობდა პეტრე აბდუშელი, უყურებდა უთვალავ „ტუსალებს“ და უკეირდა: რომ ყველა ერთად იყო დამწყვდებული: ქალი, კაცი, ქართველი, რუსი, თათარი, დამნაშავე და უდანაშაულო. უკვირდა, რომ საწოლები არსად ჩანდა, სად უნდა დაეძინა ლამ-ლამობით, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, შეიძლება წელიწადიც გასულიყო და არავის მოფიქრებოდა პეტრეს განთავისუფლება სატუსალოდა.

უკეირდა პეტრეს და გაკვირვებულმა ჩამწყრივებულ სუფთა მაგიდებს მოკრა თვალი

ერთ ადგილას. ბიჭის! აგერ ბუფეტიც ყოფილა, ხალხი საუჩმობს. მივიდა პეტრე, ჩამოჯდა მაგიდასთან.

მენიუ მიართვეს უდანაშაულო „ტუსალს“. ჩაათვალიერა, წაიკითხა, მოსაუზმეებს დააკვირდა და გაიფიქრა:

— აქაც ოჩერედი ყოფილა ამ საოხროში, რამდენი ხალხია ჩაწერილი ამ წიგნაკში, სანამ ესენი ისაღილებენ მე, ჩემი დამემართება „ხლებ ქალბასოვი“, „ნაპოლეონი კითხულობდა პეტრე მენიუში — რამდენი რამ გამიგონია ამ ნაპალეონშე, საწყალი ისიც აქ ყოლითა დაქერილი. აფსუს რა ვაჟაცი ფუჭდება! ეს კალბასოვი ვიღა არის ნეტა. ეჭ, შეიძლება ესეც დიდი გამოჩენილი ვინმეა, მაგრამ რას იზამს, ჩავარდნილა და! — გაიფიქრა პეტრემ და რიგში ჩადგომის მიზნით, მენიუს ბოლოში მიაწერა: პეტრა აბდუშელი.

მიაწერა და ფეხზე წამოდგა.

**

ორი ცილინდროსანი შემოვიდა ბუფეტში. თან გაპუდრულ — შეღებილი სქელ-სქელი ქალი შემოყვათ. მაგიდას მოუსხდენ და დაუკაუნეს. მათ წინ თეთრებში გამოწყობილი, ბუფეტის თანამშრომელი ქალი გამოჩნდა.

— რითი შეგიძლიათ გაგვიმასპინძლდეთ?

— აგერ, მენიუ, ბატონი! — მიუგო თეთრებ ჩამწყლმა ქალმა და უკანვე გაბრუნდა.

— იშვიათი საჭმელების გაკეთება იციან კავკასიელებმა, ჯერ მარტო სახელების დამახსოვრება გაგიჭირდებათ, საუცხოვო ლულა-ქაბაბი! — სოქვა ერთმა ცილინდროსანმა და ბუფეტის თანამშრომელ ქალს საში ულუფა „პეტრა აბდუშელი“ შეუკვეთა.

შეკვეთის მიმღებმა ბუფეტის აცელა თანამშრომელს ჩამოუარა და საჭმელი „პეტრა აბდუშელი“ ვერსად აღმოაჩინა.

— ახლად მიღებულია, ძალიან საუცხოვო, მაგრამ ჯერ ფაქტურა არ არის გამოწერილი და ვიდრე გამგე არ მოვა ვერ გავყიდით! — მიმართა თანამშრომელმა ქალბა შემცეს თლებს.

ცილინდროსანმა უბის წიგნაკი ამოილო და ჩაიწერა, რომ: „სადგურის ბუფეტში გამზევ-ბულია ბიუროკატიზმი, გამგე იდრე მოსკოლას არ კადრულობს და თანამშრომელები კი უიმისოდ არ ყიდიან საჭმელ-სასმელს“.

*

ამ დროს, დალონებული პეტრე აბდუშელი „სატუსალოდან“ გაპარვაზე ოცნებობდა.

— ა, ერთი დალამდეს და თუ პირდაპირ ფაჯრიდან არ მოვადინო ბრავვანი კაცი აღარ ვიყო.

ოცნებობდა და ამ დროს შეამჩნია რომ: ლია კარებში ვიღაც მაზუთში ამოსერილი პაცანი გავარდა გარედ. უკან ვიღაც ბებერი ქალი მიცყვა ჩამაღნებით ხელში.

— ცდა ბედის მონახევრეა! — ამათ უნდა მაჯობონი? — თქვა პეტრემ და გაბედულად „საპატიორდან“ გარედ გამოვარდა.

8. ივანიშვილი.

მთაწმინდელის კატაპი ნიანგა



ყოვლად ძლიერო და უძლევე-
ლო დამთურებულო ყოველგვარი
ბოროტებისა, უთაობისა, გულგ-
რილობისა და მოუქნელობისა, ამ-
ხანაგო ნიანგო!

ჩვენ, მცხოვრები მთაწმინ-
დისა, უმთავრესად ბესიკის ქუჩის
მახლობელნი მკეიდრნი, გაცნიბები
რომ ვიხრჩობით ღვინოში და გვი-
შველეთ.

აი, ამოჭყვით რუსთაველის
პროსპექტიდან ბესიკის ქუჩას და
ნახავთ:

ბესიკის ქ. № 10 (სასამართლოს
ქუჩის კუთხეში) არის კოოპერატი-
ვი, რომელშიაც სხვა საქონელთან
ერთად ღვინოც იყიდება. იქვე ბე-
სიკის № 9-ში მოთავსებულია ღვი-
ნის სპეციალური სავაჭრო. ცოტა-
თი ზევით № 14-ში ასეთივე ღვი-
ნის სავაჭრო. კიდევ ზევით № 16-ში

კიდევ ღვინის სარდაფი-საწყობი. ბა და სარდაფიდან ამოდის, რომ
მის გვერდით № 18-ში ისევ ღვი-
ნის სავაჭრო (ისეა მოწყობილი,
რომ № 18-ში რომ დაითვრება
კაცი, იქვე № 16-ის სარდაფში № 10) ღვინის სარდაფი და იქვე

ისევ ესტუმროს იქვე მოთავსებულ
ნის სავაჭრო (არსენას შეს. № 7) არის სარდა-
ფით გადაკვრის შემდეგ ფხიზლდე-
(არსენას შეს. № 7) არის სარდა-
ფით გადაკვრის შემდეგ ფხიზლდე-
ფი-რესტორანი. მაგრამ თუ კიდევ

განაგრძნობთ ბესიკის ქუჩას შეგხე-
დებათ კოოპერატივი (ბესიკის ქ.
№ 23), საღაც ღვინოც იყიდება
და სხვა საქონელიც.

ამგვარად ასეთ პატარა მანძილ-
ზე (№№ 10—23) მოთავსებულია
ასე ბევრი ღვინის სავაჭროები.
ამავე ღრის კი თქვენ ვერ ნახავთ
ვერც ერთ ისეთ სავაჭროს საღაც
(ამ ზაფხულზე მაინც) იყიდებოდეს
შევანილებულობა. ორი შაურის ქინ-
ძისთვის მთაწმინდელ დიასახლი-
სებს ცენტრალურ ბაზარში უხდე-
ბათ სიარული.

აი, ამისთვის მოგმართეთ პა-
ტივცემულო ნიანგო, რომ, ეჯებ,
როგორმე რომელიმე სავაჭრო ორ-
განიზაციას მოაგონოთ, რომ „არა
მარტო ერთიანა ღვინითა ცხოვ-
რობს აღამიანი“

მთაწმინდელები



კახანეთი ნიანგო!

ამს. ნიანგო!

ტრამების ზოგიერთ ვაგონებში წვიმის
დროს წყალი ისე ჩამოდის, რომ მგზავრს ეჩვე-
ნება, ტრამებიში კი არა შხაპმოშეებულ აბა-
ნოში იყოს. ამას წინად 256 ნომერ ვაგონს
მიბმული ქონდა 33 ნომერი ვაგონი, რომლის
კერიდან კოისპირული წვიმა მოდიოდა.
ექვსი მგზავრი ქოლგებით ხელში ფეხზე და-
მდგარიყვნ და „ბუნების ძალას“ ცალხელ-
აპყრობილნი ვადარჩენ. ს ევედრებოდენ...
ტრამების დირექცია ან ტრესტი საჭირო ზო-
მებს არ ხმარობს რადგან მისი აზრით წვიმა-
ში ვაგონის შეკეთება სახურავის დასველების
გამო შეუძლებელია და კარგ დარში კი ისე-
დაც კარგი დარია და ასეთი „ხლაფორთი“
საჭირო აღარ არის. მოგვეშველეთ ამს. ნიანგო!

ი. გეგამა

ამს. ნიანგო!

გთხოვ გამიმარტო რამდენჯერ და რადა-
რა რიცხვებში მოვა წვიმა 1935 წლის დამ-
ლევამდი? ეს ცნობა საჭიროა წარუდგინო
საგარეულოს რაისაგზაო განყოფილების გამგეს

გიორ. ხონელიძეს, რომელმაც საბჭოთა მოსა-
მსახურებს დასასვენებელ დღეთ დაგვიწესა
მხოლოდ და მხოლოდ წვიმიანი დღეები. ჩვენ
ვხდებით, რომ ასეთი „ბრძნული“ განკარ-
გულება შედეგია იმ გავლენის, რასაც ახდენენ
მის გონებაზე ცხელი დღეები, მაგრამ არ
ვიცით, როგორ შეიცვლება მისი აზროვნება
წვიმიანი დღეებში? გამეორებით გთხოვთ, გა-
მიმარტო ეს ორივე საკითხი ამს. ნიანგო!

გიორ. გეგამა

ამს. ნიანგო!

ნება მომეცით ულრმესი მაღლობა გამოუ-
ცხადო ზესტაფონის რაიონის პროკურატუ-
რას, იმის გამო, რომ მე ფინმომუშავე
დიმიტრი შალამბერიძე, რომელსაც სოფელ
ილემში შემომეხარჯა სახაზინო ფული ძა-
ბიჭების დახმარებით გადაყენილი ვარ უფრო
თფილ აღვილზე—შორაპანში და მილიციის
და პროკურატურის გულჩილობის წყალობით
არხენიად დავიარები.

აატ.-ცემით დიმ. შალამბერიძე

ამს. ნიანგო!

მოგვეშველე, საბჭოს ქუჩაზე № 51 სახ-
ლში მცხოვრებლები ძალებში აიკლეს. მთელი
ოცდაოთხი საათის განმაგლობაში მთელი ეზო
ბრძოლის ველს წარმოადგენს. იბრძვიან ერთი
მხრივ მოერიშებალების გუნდი და მეორე
მხრივ განწირული მოქალაქენი. არის ყეფა,
ყვირილი, გაისმის „მიშველეთ არ გაუშვათ,
დამგლიჯა“ არ სკერება ქვების ზუსუნი,
ფაჯრების მტვრევა, კეტის ტრიალი, მშევ-
ლობიან მოქალაქეთა, გამარჯვებულს ძალების
მიერ დაღვრილი სისხლი და ლანძღვა-გი-
ნება დაზარალებულ მოქალაქეთა და თავ-დაში
ხმელ ძაღლების.

ჩვენს ეზოში ძაღლების რიცხვი ისე ღიდია,
რომ თითო ძაღლზე საქმილოთ თითო სრულ-
წლოვანი მოქალაქე მოდის. გათავხედებული
ძაღლების შიშით, მეტოვესაც კი შიში
აკანკალებს; ბავშვები გარეთ ევლარ გამოდიან.

რამდენჯერ მიემართეთ მილიციას, მაგრამ
საშველი არ არის! სხვა გზა ალარა გვაქეს,
ისევ შენ მოგმართავთ; მოგვეშველეთ ამს.
ნიანგო.

ს. ციცაძე

„მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთი საბინაო ამხანაგობები ისევ განაგრძობენ სტანდარტული, დაბალ ჭრიანაშ სახლების შენებას“

გვიანი მიზანი



— საწყლები! ალბად წელკაფი დარევიათ... ვინ არიან ნეტავი?
— წელკავს ჩას ერჩი! ბინის ბრალია: ეხენი სტანდარტული სახლის ცხოვრებლები არიან!